ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№37

ქ. თბილისი; 28 დეკემბერი, 2018 წ. 14 :00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
დავით ჭელიძე
ავთანდილ ცინცაძე
თინათინ ნიბლოშვილი
ქეთევან მამულაშვილი

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსი - ქვარა ჩართოლანი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის ანალიტიკური განყოფილების უფროსი - თენგიზ ჯოხაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი - გელა ჩივიაშვილი

შპს „თბილსერვის ჯგუფის" იურისტი - დავით ჩანქსელიანი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგებელი - ბექა მიქაუტაძე

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-90 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

2. “ქალაქ თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზ. №9-25-ის მიმდებარედ არსებული 173 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.16.05.031.029) 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „მარტოსთვის“ (ს/ნ: 404558144) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

3. “ქალაქ თბილისში, ი. აბაშიძის ქ. №2-20-ის მიმდებარედ არსებული 1492 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.14.11.031.048) 13 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მონ კაფე“-სთვის (ს/ნ: 404523011) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

4. ქალაქ თბილისში, ერეკლე II-ის ქუჩაზე რეგისტრირებული 1136 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: №01.18.03.045.019) 121 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კალასთვის“(ს/ნ: 404433029) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2019 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის გამოყენებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ,,დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის ანალიტიკური განყოფილების უფროსმა - თენგიზ ჯოხაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-90 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის თქმით, ცვლილება შედის და ახალი რედაქციით ყალიბდება ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-90 დადგენილების მე-2 პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით, სპორტის დარგში მომსახურე აგენტებისთვის (სპორტული ობიექტები, სპორტული კლუბები, ფიტნეს ობიექტები), 2020 წლის 1 იანვრამდე დგინდება ქონების გადასახადის განსხვავებული, შეღავათიანი განაკვეთი.

ბატონმა ჯოხაძემ იქვე დასძინა, რომ ზემოზსენებული დადგენილება სპორტის დარგისათვის 2018 წლის პირველ იანვრამდე ადგენდა შეღავათიან განაკვეთს.

საკითხის წარმომდგენმა განმარტა, რომ აღნიშნული ცვლილების შემდგომ, ზემოაღნიშნული დადგენილების მე-2 პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტი ჩამოყალიბდება შემდეგნაირად: ,,რეზიდენტი საწარმოსთვის/ორგანიზაციისთვის – მის ბალანსზე ძირითად საშუალებად ან/და საინვესტიციო ქონებად აღრიცხული აქტივების,

დაუმონტაჟებელი მოწყობილობების, დაუმთავრებელი მშენებლობისა და მის მიერ ლიზინგით გაცემული ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების 1%-ს, ხოლო საქმიანობისათვის სპორტის დარგში, (საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სექცია R, განყოფილება 93, ჯგუფი 93.1-ისკლასი 93.11, 93.12 და 93.13) მის ბალანსზე ძირითად საშუალებად ან/და საინვესტიციო ქონებად აღრიცხული აქტივების, დაუმონტაჟებელი მოწყობილობების, დაუმთავრებელი მშენებლობისა და მის მიერ ლიზინგით გაცემული ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების 0,001%-ს 2020 წლის 1 იანვრამდე".

მომხსენებელმა საკითხის ირგვლივ მსჯელობისას ისაუბრა წარმოდგენილი დადგენილების პროექტით გათვალისწინებულ სხვა ცვლილებაზე და განაცხადა, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო), მიწისზედა ელექტროტრანსპორტით რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას და საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა", საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი - კუს ტბა" მგზავრთა გადაყვანისას, მის ბალანსზე ძირითად საშუალებად ან/და საინვესტიციო ქონებად აღრიცხულ აქტივებზე, აღარ გაგრძელდება შეღავათი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დადგენილების მე-7[1] პუნქტი, რომლის მიხედვითაც შეღავათი ვრცელდებოდა 2015 წლის საგადასახადო ვალდებულებებზეც, იქნება ამოღებული.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში უნდა გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და კანონის ნაცვლად უნდა მიეთითოს „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა - ქვარა ჩართოლანმა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზ. №9-25-ის მიმდებარედ არსებული 173 კვ.მ.მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.16.05.031.029) 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „მარტოსთვის" (ს/ნ: 404558144) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, შპს „მარტოსთვის“ ქალაქ თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზ. №9-25-ის მიმდებარედ არსებული 173 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან, 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- ✓ იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2023 წლის 19 ოქტომბრამდე.
- ✓ ხოლო, საიჯარო ქირის წლიური საფასური შეადგენს 2 600 (ორი ათას ექვსასი) ლარს.

საკითხის წარმომდგენმა დაამატა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული კომპანია იჯარით ფლობს ქალაქ თბილისში, აღმაშენებლის გამზ. №15-ში მდებარე ფართებს, მესაკუთრესთან გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ განკარგულების პროექტის სათაურში უნდა გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“ქალაქ თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზ. №9-25-ის მიმდებარედ არსებული 173 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.16.05.031.029) 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მარტოსთვის“ (ს/ნ: 404558144) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე”.

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, ასევე უნდა გასწორდეს განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში ტექნიკური ხარვეზები, მათ შორის მთავრობის განკარგულების მითითების ნაწილში და განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა - ქვარა ჩართოლანმა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი “ქალაქ თბილისში, ი. აბაშიძის ქ. №2-20-ის მიმდებარედ არსებული 1492 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.14.11.031.048) 13 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მონ კაფე“-

სთვის (ს/ნ: 404523011) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, შპს „მონ კაფე"-სთვის, ქალაქ თბილისში, ი. აბაშიძის ქ. №2-20-ის მიმდებარედ არსებული 13 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- ✓ იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2020 წლის 1 იანვრამდე.
- ✓ ხოლო, საიჯარო ქირის წლიური საფასური შეადგენს 1 900 (ათას ცხრაასი) ლარს.

საკითხის წარმომდგენმა დაამატა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, კომპანია იჯარით ფლობს ქალაქ თბილისში, ი. აბაშიძის ქ. №14-ში მდებარე ფართს, მესაკუთრესთან გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე.

საკითხის წარმომდგენმა იქვე დასძინა, რომ უნდა მოხდეს გადასაცემი ქონების საკადასტრო მონაცემის ჩანაცვლება განახლებული საკადასტრო კოდით, აღნიშნული უნდა აისახოს განკარგულების პროექტის სათაურსა და განკარგულების პროექტის პირველი პუნქტში.

მომხსენებლის მიერ წარმოდგენილ წინადადებას დაეთანხმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა - ქვარა ჩართოლანმა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ერეკლე II-ის ქუჩაზე რეგისტრირებული 1136 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: №01.18.03.045.019) 121 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კალასთვის" (ს/ნ: 404433029) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, შპს „კალა"-სთვის, ქალაქ თბილისში, ერეკლე II-ის ქუჩაზე რეგისტრირებული 1136 კვ.მ

ფართობის ტერიტორიიდან, 121 კვ.მ მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- ✓ იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2023 წლის 1ივნისამდე.
- ✓ ხოლო, საიჯარო ქირის წლიური საფასური შეადგენს 29 100 (ოცდაცხრა ათას ასი) ლარს.

საკითხის წარმომდგენმა დაამატა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, კომპანია იჯარით ფლობს მიმდებარედ არსებულ უძრავ ქონებას, ქ. თბილისში, ერეკლე II-ის ქ. №8/10-ში მდებარე 147.47 კვ.მ ფართს.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ განკარგულების პროექტის სათაურში უნდა გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი და სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ქალაქ თბილისში, ერეკლე II-ის ქუჩაზე რეგისტრირებული 1136 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: №01.18.03.045.019) 121 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კალასთვის" (ს/ნ: 404433029) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე"

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში ასევე უნდა გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟოროლიანმა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ამავე საკრებულოს თავმჯდომარის მიერ, ინიცირების წესით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2019 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისათვის, 2019 წელს

შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესებას, შემდეგი ოდენობით:

- ფრაქციისთვის, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება 3 წევრით - 60 000 (სამოციათასი) ლარი (თვეში არაუმეტეს 5 000 (ხუთიათასი) ლარი).
- იმ ფრაქციისთვის, რომლის წევრთა რაოდენობა აღემატება 3 წევრს, ყოველ მომდევნო წევრზე ფრაქციის ყოველთვიური სახელფასო ლიმიტი გაიზრდება 1 300 (ათასსამასი) ლარით და ფრაქციის წლიური სახელფასო ლიმიტი განისაზღვრება შესაბამისი პროპორციით;

დასასრულს კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2019 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან რაც გამოიწვევს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2018 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N76 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადებას.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა - გელა ჩივიაშვილმა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლმა ისაუბრა სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესებსა და მათში განსახორციელებელ ცვლილებებზე.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, პროექტის პირველი მუხლის „ა“ პუნქტით მტკიცდება „სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარების“ განხორციელების წესი”, რითიც იცვლება აქამდე არსებული დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ქვეპროგრამების დასახელება და მოცულობა, კერძოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გათვალისწინებით, ერთიანდება ორი ქვეპროგრამა - ერთი მხრივ „სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარების“, ხოლო მეორე მხრივ „სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მე-3, მე-4, მე-5 და მეტი შვილის დაბადებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების“ ქვეპროგრამა .

მომხსენებლის თქმით, წარმოდგენილი პროექტის პირველი მუხლის „ბ“ პუნქტით მტკიცდება „100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი“, რომლითაც განისაზღვრება ქვეპროგრამის მოსარგებლეების კატეგორიები, ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარების მოცულობა და ანგარიშგების პირობები.

ბატონი გელას განმარტებით, აღნიშნული ფულადი დახმარება განისაზღვრება 1000 (ათასი) ლარის ოდენობით, ხოლო აღნიშნული ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 წლის და მეტი ასაკის პირები, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 წლის და მეტი ასაკის იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ - ქალაქი თბილისი.

საკითხის წარმომდგენის თქმით, პროექტის პირველი მუხლის „გ“ პუნქტით მტკიცდება „სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი“, კერძოდ, ქვეპროგრამის მოსარგებლეების კატეგორიები, ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარების მოცულობა, ქვეპროგრამაში ჩართვის პირობები და ანგარიშგების ფორმა.

საკითხის წარმომდგენმა იქვე დასძინა, რომ აღნიშნული ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000–ს და აღნიშნული ბაზის მიხედვით ოჯახში ფიქსირდება 3 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი. ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარების მიმღებია ოჯახი. ყოველ 18 წლამდე ბავშვზე ყოველთვიურად გაიცემა ფულადი დახმარება 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

ასევე, ცვლილება შედის ამავე წესის მე-3 მუხლის პირველ პუნქტში, რომელიც ეხება ოჯახის მიერ კონკრეტულ თვეში თანხის მიღების უფლების მოპოვებას, რაც გარდა სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციისა ასევე ეყრდნობოდა მომსახურე ბანკის მეირ წარმოდგენილ ინფორმაციას ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელზე არსებული აქტიური (გატანილი) საბანკო ბარათის შესახებ. მომხსენებლის თქმით, წარმოდგენილი რედაქციით, თანხის კონკრეტულ თვეში მიღების უფლება აღარ არის დაკავშირებული გატანილ საბანკო ბარათთან, ოჯახი მიიღებს შესაბამისს თანხას დახმარების გაცემის წინა თვის მდგომარეობის ამსახველი ბაზის მიხედვით.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, პროექტის პირველი მუხლის „დ“ პუნქტით მტკიცდება „სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარების და სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარების“ ქვეპროგრამების განხორციელების წესი“, რომლის მიხედვით, 2018 წლის კუთვნილი ფულადი დახმარება შესაძლებელია გაიცეს 2019 წელს მოქმედი წესის შესაბამისად 2019 წლის ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში იმ პირთათვის, რომლებიც განცხადებას წარმოადგენენ 2018 წლის 10 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში, ასევე იმ მოსარგებლეებისათვის რომლებზეც ბარათის გატანის შესახებ ინფორმაცია მომსახურე ბანკიდან მიღებული იქნება 2019 წლის 10 მარტამდე.

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ პროექტის პირველი მუხლის „ე“ პუნქტით მტკიცდება „უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში“ და „უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში“ ქვეპროგრამების განხორციელების წესი“, კერძოდ, ქვეპროგრამის მოსარგებლეების კატეგორიები, ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობა, ქვეპროგრამის განხორციელების მექანიზმი, ქვეპროგრამაში ჩართვის პირობები და ანგარიშგების ფორმა. ამასთან, პროექტით გათვალისწინებულია ბენეფიციარისათვის მომსახურების მიწოდების შემოწმების, საანგარიშგებო დოკუმენტაციის ინსპექტირებისა და ანაზღაურების წესი, ცხრილის სახით თანდართულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის მოსწავლეთა თვიური ლიმიტის ოდენობები.

ბატონმა ჩივიაშვილმა განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტის პირველი მუხლის „ვ“ პუნქტით მტკიცდება „უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში” ქვეპროგრამის ფარგლებში „სოციალურად დაუცველი მოსწავლეების საცურაო აუზებში სწავლების ღირებულების ანაზღაურების წესი“, რომლითაც განისაზღვრება ქვეპროგრამის მოსარგებლეების კატეგორიები, ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობა, ქვეპროგრამის განხორციელების მექანიზმი, მოსარგებლეების ქვეპროგრამაში ჩართვის პირობები, ვაუჩერის პირობები, ანაზღაურება და ანგარიშგების წესი. ამასთან პროექტით გათვალისწინებულია ბენეფიციარისათვის მომსახურების მიწოდების შემოწმების, საანგარიშგებო დოკუმენტაციის ინსპექტირებისა და ანაზღაურების წესი.

ბატონმა ჩივიაშვილმა ასევე განმარტა, რომ პროექტის პირველი მუხლის „ზ“ პუნქტით მტკიცდება „შინმოვლის თანადაფინანსების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი“, რომლითაც განისაზღვრება ქვეპროგრამის მოსარგებლეების კატეგორიები, ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობა, ქვეპროგრამის განხორციელების მექანიზმი, მოსარგებლეების ქვეპროგრამაში ჩართვის პირობები, ანგარიშგების წესი. ამასთან, პროექტით გათვალისწინებულია ბენეფიციარისათვის მომსახურების მიწოდების შემოწმების, საანგარიშგებო დოკუმენტაციის ინსპექტირებისა და შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების წესი. პროექტით გათვალისწინებულია მიმწოდებლის დამატებითი კრიტერიუმები, ბართელის კითხვარი და თანხმობის ბარათის ფორმა. ამასთან უწყვეტობის მიზნით, 2018 წელს მიმწოდებლად რეგისტრირებულ პირს/ორგანიზაციას აღნიშნული სტატუსი ავტომატურად უგრძელდება 2019 წელს, თუმცა კრიტერიუმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ექვემდებარება გადამოწმებას.

დასასრულს, ბატონმა ჩივიაშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტით ხდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული სოციალური დაცვი სქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №8-21 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადება.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის თქმით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 64-ემუხლის „ა“ ქვეპუნქტის ნაცვლად უნდა მიეთითოს

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 64-ე მუხლის „ა“ პუნქტი.

ბატონი ლევანის განმარტებით, დადგენილების პროექტის დანართი №1-ით წარმოდგენილი „სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარების განხორციელების წესის ” მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შინაარსობრივად გამართვის მიზნით კავშირი „და“ უნდა ჩანაცვლდეს „ან“-ით, შესაბამისად, აღნიშნული წესის მე-3 მუხლის პირველ პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტის დანართი №7-ით წარმოდგენილ „შინმოვლის თანადაფინანსების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის“ მე-3 მუხლის მე-5 პუნქტში ნაცვლად ამავე წესის მე-10 მუხლისა, მითითება უნდა გაკეთდეს ამავე წესის მე-9 მუხლზე, რომელიც ითვალისწინებს დამატებით პირობებს რომელსაც ქვეპროგრამით გათვალისწინებული მიმწოდებელი უნდა აკმაყოფილებდეს.

ხოლო, ამავე მუხლის მე-6 პუნქტში უნდა გაკეთდეს მითითება მე-10 მუხლზე, რადგან სწორედ ამ მუხლშია გათვალისწინებული ქვეპროგრამის მოსარგებლეთა კატეგორიები.

ამასთან, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის თქმით, მიზანშეწონილია, რომ დადგენილების პროექტის დანართი №1-ით წარმოდგენილ წესში ტერმინი „ბავშვი“ ჩანაცვლდეს ტერმინით „ახალშობილი“.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა - გელა ჩივიაშვილმა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამის განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N8-22 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებას და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამისი წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული, ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების შემდეგი წესების, ახალი რედაქციით დამტკიცებას:

- ა) „დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის განხორციელების წესი”

- ბ) „გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის ქვეპროგრამის განხორციელების წესი"
- გ) „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესი"
- დ) „C" ჰეპატიტის დიაგნოსტიკის ქვეპროგრამის განხორციელების წესი"
- ე) „ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესი"
- ვ) „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესი"
- ზ)„ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურების ქვეპროგრამის განხორციელების წესი"

როგორც საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის პირველი მუხლის „ა" პუნქტით მტკიცდება „დაავადებათა სკრინინგის განხორციელების წესი". განსხვავებით, დადგენილების მოქმედი რედაქციისგან, წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტში, გამონაკლისის სახით აღარ არის მითითებული შემდეგი მომსახურება: „ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვის პილოტი, 25-70 წლის ასაკის ჩათვლით, განმახორციელებლის მიერ დამტკიცებული კრიტერიუმების მიხედვით, შესაბამისი რისკის მქონე ქალებში". შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული მომსახურების დროსაც მიიღებს პაციენტი, ექიმ-სპეციალისტების ან/და ოჯახის ექიმების კონსულტაციას.

საკითხის წარმომდგენის თქმით, ზემოხსენებული წესის მე-7 მუხლში, იცვლება პუნქტების ნუმერაცია, ასევე, მე-4 პუნქტად წარმოდგენილია, ამჟამად მოქმედი რედაქციის დანართი N1-ით წარმოდგენილი წესის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი და მიმწოდებლის მიერ ქვეპროგრამის განმახორციელებლისათვის საანგარიშგებო დოკუმენტაციის, მომსახურების მიწოდების დასრულების თვის მომდევნო 3 თვის განმავლობაში წარდგენის საკითხი დაკონკრეტდა - „არაუგვიანეს თვის 10 რიცხვი"-ს მითითებით. ასევე, დაემატა, რომ: აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდგომ წარმოდგენილი შესრულება ანაზღაურებას არ ექვემდებარება".

აღნიშნული წესის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტად წარმოდგენილია დადგენილების მოქმედი რედაქციის N1 დანართის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი, და აღნიშნულ ნაწილში დაემატა, რომ: შემთხვევა არ ექვემდებარება ანაზღაურებას, თუ საინფორმაციო პროგრამაში სრულყოფილად არ იქნა შესაბამისი მონაცემები ასახული.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, იცვლება მოქმედი რედაქციის N1 დანართის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც, „მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების განმახორციელებელია 2018 წელს მიმწოდებლად რეგისტრირებული დაწესებულებები, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ წესის ამოქმედებამდე მოქმედ რეგულაციებს", ნაცვლად მუშაობის მინიმუმ 1 წლიანი გამოცდილებისა.

ასევე იცვლება მოქმედი რედაქციის N1 დანართის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც მიმწოდებელი/მისი კონტრაქტორი აღარ არის ვალდებული ქვეპროგრამის მეორე მუხლის პირველი პუნქტის „ა.გ“, „ბ.გ“, „დ.გ“ და „ე.გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ლაბორატორიულ კვლევების განხორციელების შესახებ შესაბამისი დოკუმენტი/სერტიფიკატი განმახორციელებელთან წარმოადგინოს პროგრამაში ჩართვიდან ზუსტად 3 თვის განმავლობაში.

ბატონი გელას თქმით, უქმდება მოქმედი რედაქციის N1 დანართის მე 8 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი მიმწოდებლის ვალდებულება - რეგისტრაციისას წერილობით დააფიქსიროს ბენეფიციარების სავარაუდო რაოდენობა, რომელთა მომსახურებასაც უზრუნველყოფს ერთი წლის განმავლობაში. თუმცა, ამავე ქვეპუნქტით დგინდება, რომ მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია ერთი წლის განმავლობაში მომსახურება გაუწიოს სულ მცირე 50 (ორმოცდაათი) ბენეფიციარს. ხოლო „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია ყოველთვიურად მომსახურება გაუწიოს არაუმეტეს 100 მოსარგებლისა, გარდა მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის შემმოწმებელი დაწესებულებისა.

„გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის ქვეპროგრამის განხორციელების წეს“-თან დაკავშირებით მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტის პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით, ცვლილებების გარეშე მტკიცდება აღნიშნული წესის განხორციელების პირობები და პროცედურები.

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ პროექტის პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტით მტკიცდება „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“, ხოლო ცვლილების მიხედვით, მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს 6 თვეში ერთხელ ქვეპროგრამის მოსარგებლისათვის გაწეული თერაპიის შედეგების შეფასება/გადაფასება საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდოლოგიების გამოყენებითა (მ.შ. ABLLS-R, VB-MAPP და სხვა.) და ა(ა)იპ „საქართველოს ქცევის ანალიტიკოსთა ასოციაციის“ მიერ დამტკიცებული ანგარიშების სტანდარტიზებული ფორმის მიხედვით ანგარიშის ელექტრონული სახით წარდგენა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურში, აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდგომ 2 თვის განმავლობაში.

გელა ჩივიაშვილმა განმარტა, რომ პროექტის პირველი მუხლის „დ“ ქვეპუნქტით მტკიცდება: „C ჰეპატიტის დიაგნოსტიკის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“. ცვლილების მიხედვით, გაუქმებულია ცხრილი, რომელიც შეეხებოდა 2016 წლის 10 ივნისამდე დაწყებული კვლევების შემთხვევაში დიაგნოსტიკური კვლევების ღირებულებას, ვინაიდან, მსგავსმა პაციენტებმა უკვე მიიღეს ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება.

გელა ჩივიაშვილმა ასევე განმარტა, რომ პროექტით წარმოდგენილია ახალი ცხრილი „2016 წლის 10 ივნისიდან დაწყებული კვლევები“. წინა ცხრილისგან განსხვავებით, ამოღებულია (ექიმთან ვიზიტი+HCV RNA) და ექიმთან ვიზიტი მურნალობის რეჟიმის განსაზღვრისა და ფორმა №IV-100/ა-ის გაცემის მიზნით.

გელა ჩივიაშვილის თქმით, ხსენებულ ცხრილში აღარ არის გაწერილი - მკურნალობის დაწყებამდე საჭირო სხვა კვლევები. გაერთიანებულია მკურნალობის კომპონენტში ჩართვამდე საჭირო კვლევები (სისხლის საერთო ანალიზი, ღვიძლის ფუნქციური

სინჯები (ALT, AST კვლევები) და ღვიძლის ფიბროზის ხარისხის განსაზღვრა FIB-4 ტესტის დათვლით, ელასტოგრაფიით და ელასტოფრაფიის გარეშე. ხოლო, ცხრილებში გადანაწილებულ/გაერთიანებულ მომსახურებებთან ერთად შემცირებულია დაფინანსება.

„ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წეს"- თან დაკავშირებით, მომხსენებელმა განმარტა, რომ აღნიშნული წესი მტკიცდება პროექტის პირველი მუხლის „ე" ქვეპუნქტით. ცვლილება შედის, წესის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში, კერძოდ, აღნიშნული პუნქტი ეხება ამ წესის მე-3 მუხლის „ბ" პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებლისათვის დადგენილ დამატებით პირობებს. წარმოდგენილი რედაქციით უქმდება „ბ" და „გ" ქვეპუნქტებით დადგენილი წინაპირობები, ხოლო, ცვლილება შედის „დ" ქვეპუნქტში და კონკრეტდება, რომ მიმწოდებელს აქვს ვალდებულება უზრუნველყოს მომსახურების განხორციელება სპეციალისტის მეშვეობით, რომელსაც წარმატებით აქვს ჩატარებული აღნიშნული მომსახურება მინიმუმ 5-ჯერ საქართველოში.

ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა, ასევე ისაუბრა პროექტის პირველი მუხლის „ვ" ქვეპუნქტით დასამტკიცებელი „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წეს"-ზე, და აღნიშნა, რომ ცვლილება შედის აღნიშნული წესის მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტში. კერძოდ, აღნიშნული ქვეპროგრამით მოსარგებლეები შეიძლება იყვნენ ის პირებიც, რომლებსაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის განცხადებით მიმართვამდე 2 წლის განმავლობაში შეუწყდათ და კვლავ განუახლდათქ ალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაცია, თუ ამგვარი შეწყვეტის შედეგად პირი არ დარეგისტრირებულა სხვა მუნიციპალიტეტში.

გელა ჩივიაშვილის თქმით, ცვლილება შედის ამავე მუხლის მე-2 პუნქტშიც, რომელიც ეხება ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობას ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით დადგენილი ტარიფების ფარგლებში და მოიცავს იმ მედიკამენტთა ჩამონათვალს, რომლის დაფინანსებაც უზრუნველყოფს აღნიშნული ქვეპროგრამა. კონკრეტულად კი, ადრე მოქმედი რედაქციის თანახმად, HER-2 დადებითი ადგილობრივად გავრცელებული (I-III სტადია) ძუძუს კიბოს დიაგნოზის ანრადიკალური ოპერაციის შემდგომ განვითარებული რეციდივის შემთხვევაში გათვალისწინებული იყო პრეპარატი „ტრასტუზუმაბი", ხოლო წარმოდგენილი რედაქციის თანახმად, ჰორმონუარყოფითი და დადებითი ნოდალური სტატუსის შემთხვევაში, 2019 წლის 1 იანვრიდან ჩართულ მოსარგებლეებს დაუფინანსდებათ პერტუზუმაბი+ტრასტუზუმაბი.

ასევე, ცვლილება შედის ამავე წესის მე-4 მუხლში, რომელიც ეხება დაფინანსების მეთოდოლოგიასა და დაფინანსების წესს. კერძოდ აღნიშნული მუხლის მე-4 პუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით: „მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მედიკამენტი „ტრასტუზუმაბი" მოსარგებლეებს გადასხმის სქემიდან გამომდინარე, უფინანსდებათ წაცვლად მაქსიმუმ ერთწლიანი კურსისა, მაქსიმუმ 18 კურსი (პირველი ინფუზიის 8მგ/კგ სქემით დაწყების, ხოლო ყოველი მომდევნო ინფუზიის 6მგ/კგ სქემით გაგრძელების ემთხვევაში), 27 (პირველი ინფუზიის 4მგ/კგ სქემით დაწყების, მომდევნო 11 ინფუზიის 2მგ/კგ სქემით, ხოლო დანარჩენი 15 ინფუზიის 6მგ/კგ სქემით გაგრძელების შემთხვევაში), ან 52 (პირველი ინფუზიის 4მგ/კგ სქემით დაწყებისა, ხოლო ყოველი მომდევნო ინფუზიის 2მგ/კგ სქემით გაგრძელების

შემთხვევაში) ინფუზიის მოცულობით, მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნტით გათვალისწინებული მედიკამენტები „პერტუზუმაბი+ტრასტუზუმაბი“, მოსარგებლეებს უფინანსდებათ მაქსიმუმ 12 ინფუზიის მოცულობით.“

მომხსენებელმა ასევე განმარტა, რომ ცვლილება შედის აღნიშნული წესის მე-5 მუხლში, რომელიც ეხება მოსარგებლეთა ჩართვას ქვეპროგრამაში და ვაუჩერის გაუქმებას. წარმოდგენილი პროექტით აღნიშნული მუხლის 1-ლი პუნქტი ეხება ქვეპროგრამაში ჩასართავად და მატერიალიზებული ვაუჩერის მისაღებად მოსარგებლე პირის მიერ წარმოსადგენ დოკუმენტაციას, კერძოდ, "გ“ ქვეპუნქტით, მოქმედი რედაქციის „დ“ ქვეპუნქტთან შედარებით, ემატება ჩანაწერი, რომ კონსილიუმის დასკვნა აუცილებელია იყოს დამოწმებული შესაბამისი პროფილის სხვადასხვა კლინიკის არანაკლებ 3 ლიცენზირებული ექიმის, მ. შ. ფორმა №IV-100/ა-ს გამცემი ექიმის ხელმოწერითა და ბეჭდით, ხოლო „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, HER-2 დადებითი ძუძუს კიბოს სადიაგნოსტიკო კვლევების (იმუნოჰისტოქიმიური კვლევა, ხოლო იმუნოჰისტოქიმიით +2 ქულის შემთხვევაში, ასევე in situ ჰიბრიდიზაციის მეთოდით კვლევა (ფლუოროსცენტული (FISH) ან ქრომოგენული (CISH)) დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

მომხსენებლის განცხადებით, ცვლილება ასევე შედის წესის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტში, კერძოდ, აქამდე მოქმედი რედაქციის თანახმად, ყველა შემდგომი მატერიალიზებული ვაუჩერის მისაღებად მოსარგებლეს ქვეპროგრამის განმახორციელებლისთვის უნდა მიემართა განცხადებით, რომლისთვისაც უნდა დაერთო მედიკამენტით მკურნალობის განმახორციელებელი ექიმის მიერ პირადი ხელმოწერითა და სამკურნალო დაწესებულების ბეჭდით დადასტურებული საბუთი, ხოლო წარმოდგენილი პროექტით, აღნიშნულ დოკუმენტაციას დაემატა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ გაცემული ცნობა (ფორმა №IV-100/ა) და კალკულაცია მიმწოდებელი ორგანიზაციიდან.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, წარმოდგენილ პროექტში ამოღებულია ამავე მუხლის მე-8 პუნქტი, რომლის თანახმადაც მატერიალიზებულ ვაუჩერს ვადა შეიძლება გაუგრძელდეს წელიწადში არაუმეტეს ორჯერ.

მომხსენებელმა ასევე განმარტა, მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში შესატანი ცვლილებები და აღნიშნა, რომ, ადრე მოქმედი რედაქციის თანახმად, „ტრასტუზუმაბის“ რაოდენობა დამოკიდებული იყო მოსარგებლის წონაზე, რაც წარმოდგენილ რედაქციაში აღარ გვხვდება. ასევე, მცირდება „ტრასტუზუმაბის“ მიწოდების ტარიფი, ნაცვლად 7125 ლარისა დგინდება 4995 ლარიანი ტარიფი.

გელა ჩივიაშვილმა დაწვრილებით ისაუბრა პროექტის პირველი მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით დასამტკიცებელ „ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურების ქვეპროგრამის განხორციელების წესი“-ს შესახებ და განმარტა, რომ ცვლილება შედის აღნიშნული წესის მე-3 მუხლში, სადაც ტერმინი ფსიქიკური კრიზისული ხანმოკლე ინტერვენცია კორექტირდება ტერმინით „მულტისისტემური ინტერვენცია“. ამოღებულია ამავე მუხლის პირველი პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტი, რომელიც გულისხმობდა მულტიდისციპლინური გუნდის მიერ პირის შეფასებისა და ინტერვენციის გეგმის ცვლილების შემთხვევაში კორექტირებული ინტერვენციის გეგმის წარდგენას არაუგვიანეს შეცვლილი ინტერვენციის გეგმის თვის წინა თვის 25 რიცხვისა.

ასევე, ცვლილება შედის მულტიდისციპლინური გუნდის სოციალური მუშაკის მიერ მოსარგებლის მონიტორინგის წესში: კერძოდ, აქამდე მოქმედი რედაქციით მონიტორინგი ტარდებოდა ბინაზე ან/და სასწავლო დაწესებულებაში, ხოლო წარმოდგენილი რედაქციით მონიტორინგი ასევე შესაძლებელია განხორციელდეს ამბულატორიულადაც.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ, იცვლება ზემოაღნიშნული წესის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ა" ქვეპუნქტი, რომელიც მიმწოდებლისათვის დამატებით პირობად ადგენდა მულტიდისციპლინური გუნდის ყოლას ყოველ 30 მოსარგებლეზე. ცვლილებების მიხედვით, მსგავსი შეზღუდვა აღარ არის დაწესებული. ამავე პუნქტის „ა.ბ" ქვეპუნქტში შესული ცვლილებით კი, დაზუსტდა ქვეპროგრამის მოსარგებლეების რაოდენობა და შესაბამის სპეციალისტთა რაოდენობრივი შეფარდება. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის „ა.ბ.ა", „ა.ბ.ბ.", „ა.ბ.გ" და „ა.ბ.დ" ქვეპუნქტებში განხორციელებული ცვლილებით ბავშვთა და მოზარდთა ფსიქიატრი-ფსიქოთერაპევტის მიმართ დადგინდა კიდევ ერთი ალტერნატიული კრიტერიუმი - მას შესაძლებელია გავლილი ჰქონდეს დიალექტიკურ-ბიჰევიორული თერაპიის სასწავლო საერთაშორისო ან/და ადგილობრივი კურსი.

დასასრულს ბატონმა ჩივიაშვილმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროექტის მე-3 მუხლით დადგენილია, რომ აღნიშნული დადგენილება ამოქმედდება 2019 წლის 1 იანვრიდან, ხოლო, აღნიშნული ქვეპროგრამების დაფინანსება გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის პირველი მუხლის „ა" პუნქტით დამტკიცებული „დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის განხორციელების წესის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ჩანაწერი: „გარდა მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის შემმოწმებელი დაწესებულებისა" - უნდა შეიცვალოს და მიეთითოს მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი. რამდენადაც, მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, განმახორციელებელს წარმოადგენს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური, რომელიც არ ახორციელებს ზემოხსენებულ საქმიანობას. ბატონი ლევანის თქმით, საქმიანობის შემმოწმებელი დაწესებულებაში იგულისხმება მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული - ცენტრი (ა(ა)იპ „ეროვნული სკრინინგ ცენტრი".

ამასთან, პროექტის პირველი მუხლის „გ" ქვეპუნქტით განსაზღვრული - „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესი"-ს მე-2 მუხლითა და მე-5 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული ქვეპროგრამის ჩართვის საკითხები შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ერთმანეთთან.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის პირველი მუხლის „დ" ქვეპუნქტით დამტკიცებული „C ჰეპატიტის დიაგნოსტიკის ქვეპროგრამის განხორციელების წესის" მე-8 მუხლის მე-3 პუნქტში უნდა გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

ბატონმა ლევანმა ასევე განმარტა, რომ პროექტის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული „ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“-ს მე-3 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტები უნდა შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებსაც აქვთ მწვავე ლეიკემია, მწვავე ლიმფოიდური ლეიკემია, მწვავე მიელოიდური ლეიკემია, ქრონიკული მიელოიდური ლეიკემია, იუვენური მიელომონოციტარული ლეიკემია, არაჰოჯკინის ლიმფომა, ჰოჯკინის ლიმფომა, მიელოდისპლაზიური სინდრომი, აპლაზიური ანემია, ჰისტიოციტოზი, თალასემია, მრავლობითი მიელომა (მიელომური ავადმყოფობა) შემდეგი მომსახურებების დაფინანსება.

ბ) ღვიძლის ტრანსპლატაციის საჭიროების მქონე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეებისათვის ღვიძლის ტრანსპლანტაციის დაფინანსება საქართველოში.“

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის მიერ, წარმოდგენილი დადგენილების პროექტთან დაკავშირებით მითითებულ,ზემოაღნიშნულ შენიშვნებს დაეთანხმა საკითხის წარმომდგენიც და იქვე აღნიშნა, რომ „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“-ს მე-9 მუხლის (მიმწოდებლისთვის დადგენილი დამატებითი პირობები) „დ“ ქვეპუნქტში აღნიშნული ჩანაწერი: „ქვეპროგრამაში 2019 წლის 1 იანვრამდე უკვე იყო რეგისტრირებული“- უნდა შეიცვალოს შემდეგი ჩანაწერით: „ქვეპროგრამაში 2018 წლის 1 მაისამდე უკვე იყო რეგისტრირებული“.

საკითხის წარმომდგენის მიერ გაჟღერებულ წინადადებას დაეთანხმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

როგორც კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, საკრებულოს წევრების მიერ, თავიანთი საქმიანობისა და უფლებამოსილებების ჯეროვნად და ეფექტურად განხორციელების

მიზნით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ცვლილებების განხორციელება ხარჯების ანაზღაურების ზღვრული მოცულობისა და ამ ზღვრული მოცულობიდან ასანაზღაურებელი ხარჯების განსაზღვრის ნაწილში.

ბატონი ლევანის თქმით, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, იცვლება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტისმე-9 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები და ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„2. საკრებულოს თითოეული წევრის მიერ ცალკეული დავალებების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზღვრული მოცულობა შეადგენს თვეში 3200 ლარს.

3. ხარჯების განსაზღვრა ხდება ამ თანხის ზღვრული მოცულობიდან:

ა) საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარეებს უფლება აქვთ ფრაქციის თითოეულ წევრს აუნაზღაურონ ფრაქციაში მუშაობისთვის გაწეული ხარჯი არაუმეტეს 500 ლარისა, თანახმად ფორმა №1-ისა;

ბ) საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეებს უფლება აქვთ კომისიის თითოეულ წევრს აუნაზღაურონ შესაბამის კომისიაში მუშაობისთვის გაწეული ხარჯი არაუმეტეს 900 ლარისა, თანახმად ფორმა №2-ისა;

გ) დარჩენილი 900 ლარის საკრებულოს წევრზე გაცემის უფლება აქვს საკრებულოს თავმჯდომარეს, საკრებულოს წევრის საკრებულოს სხდომებზე დასწრების, განსახილველ საკითხებში მონაწილეობისა და ცალკეული დავალებების შესრულებისათვის, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში."

დასასრულს, კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებას.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა განაცხადა, რომ სასურველია, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი, კერძოდ „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მითითება მოხდეს სწორი ფორმით და სამართლებრივი საფუძვლები ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. შპს „თბილსერვის ჯგუფის" იურისტმა - დავით ჩანქსელიანმა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის გამოყენებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის განსაზღვრასთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემას.

ბატონმა დავითმა განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების, წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება - ტრანსპორტირების და მისი გაუვნებლობის მომსახურების ორგანიზებას უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული იურიდიული პირი შპს „თბილსერვის ჯგუფი". აღნიშნული მომსახურება მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავებას; წარმოქმნილი მყარი ნარჩენების შეგროვება-ტრანსპორტირებას; ნარჩენების გაუვნებლობასა და ნარჩენების განთავსების საბოლოო ადგილების მართვას, თოვლცვენის დროს ქუჩებსა და მოედნებზე მარილის მოყრას;
- დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვა-ამოღების ორგანიზებას; მონაცემთა ბაზების დროულ განახლებას; დარიცხული მოსაკრებლის კორექტირებას და მონაცემთა ბაზაში აღრიცხვას;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-46 დადგენილების ამოქმედების დღიდან, დადგენილი წესით, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის დავალიანების განწილვადებას;
- დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან, ინდივიდუალურ მეწარმეებთან, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ქ. თბილისის მოსახლეობისათვის დედაქალაქის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ტარიფის დავალიანების განწილვადებას არაუგვიანეს 2019 წლის 31 დეკემბრისა;

- დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურების ტარიფის დავალიანების თანხაში დაწესებულებების, ორგანიზაციების, ინდივიდუალური მეწარმეების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ გადასახდელი ტარიფის უზუსტობის შემთხვევაში დაზუსტებული ოდენობის განსაზღვრას შესაბამისი სუბიექტების მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე;

დავით ჩანქსელიანმა იქვე დასძინა, რომ დაწესებულებების, ორგანიზაციების, ინდივიდუალური მეწარმეების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურების ტარიფის დავალიანების ჩარიცხვა განხორციელდება შპს „თბილსერვის ჯგუფი"-ს ანგარიშზე.

დასასრულს, საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, რომ მომსახურების გაწევის ვადა განსაზღვრულ იქნა შემდეგი სახით: ყოველდღიურად, 2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია განკარგულების სამართლებრივი საფუძვლების ნაწილში მითითებულ იქნეს საქართველოს ორგანულიკანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 **მუხლის** მე-2 **პუნქტის** „ვ" **და** „ზ" ქვეპუნქტები. ასევე, მითითებულ იქნეს ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N34-115 დადგენილება.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში შპს ,,თბილსერვის ჯგუფი" უნდა იქნეს მოხსენიებული შემდეგი სახით:

> ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100% წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს ,,თბილსერვის ჯგუფი"

ბატონი ლევანის თქმით, ტექნიკურად უნდა გაიმართოს პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

ასევე, პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტში N17-46 **დადგენილების** სათაური უნდა მიეთითოს სწორი ფორმით.

> ,,გ) „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ"

თავმჯდომარის თქმით, უმჯობესია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მე-3 **პუნქტი ჩამოყალიბდეს** შემდეგი რედაქციით:

> 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ №6).

გარდა ამისა, ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ სასურველია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მე-3 პუნქტად განისაზღვროს მომსახურების გაწევის ვადა შემდეგი სახით:

„3. მომსახურების გაწევის ვადა განისაზღვროს ყოველდღიურად, 2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;"

შესაბამისად, ამავე განკარგულების მე-3 პუნქტი განისაზღვროს მე-4 პუნქტად.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგებელმა - ბექა მიქაუტაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის" ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი პროექტით მტკიცდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის" ქვეპროგრამის განხორციელების წესი, რომელიც მსგავსად დღეს მოქმედი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით დამტკიცებული წესისა, განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში დანგრეული ან საცხოვრებლად გამოუსადეგარი სახლების მაცხოვრებელთა, ასევე მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, უსახლკაროდ დარჩენილ მოქალაქეთა აუცილებელი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისათვის საცხოვრებელი ფართით სარგებლობის ქირის კომპენსაციის პირობებს და პროცედურებს.

საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ წესში, დღეს მოქმედ წესთან შედარებით ძირითადი ცვლილება ეხება მხოლოდ წარმოდგენილი წესის მე-11 მუხლის პირველი პუნქტს, რომლის თანახმადაც, კომპენსაციის მიმღებ პირებს, რომლებსაც 2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით (მათ შორის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის თანხმობის საფუძველზე) უნაზღაურდებოდათ დროებითი საცხოვრებელი ფართით სარგებლობის ქირის კომპენსაცია, 2019 წლის იანვარში დამტკიცებული სიის მიხედვით, გაუგრძელდებათ კომპენსაციის გაცემა 2019 წლის ბოლომდე.

დასასრულს, **ბატონმა ბექამ** განაცხადა, რომ დადგენილების პროექტით ძალადაკარგულად ცხადდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის" ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანი

სხდომის მდივანი ნინო ჯალაღანია